

# მწვანე სტატუსი/პასპორტი

სუიჩად დასმული კითხვები და საოპერაციო ინსტრუქცია



## 1 დეკემბრიდან

მომხმარებელს მხოლოდ მწვანე სტატუსის ქონის შემთხვევაში შეეძლება ესტუმროს შემდეგ ობიექტებს: სასტუმროები და განთავსების სხვა ობიექტები / კვების ობიექტები (რესტორნების, კაფეების, ბარების ღია და დახურული სივრცეები-მათ შორის სავაჭრო ცენტრებში არსებული) / კინოთეატრები / თეატრები / საკონცერტო დარბაზები / ოპერა / გასართობი ობიექტები / სამორინეები და სათამაშო დარბაზები / სპა ცენტრები და ფიტნეს დარბაზები / სამთო კურორტების საბაგიროები

**შენიშვნა:** მწვანე სტატუსის ქონა არ არის სავალდებულო 18 წლამდე პირთათვის

## 306 აჩის მწვანე სტატუსის მქონე პირი?

- ✔ სრულად ვაქცინირებული (ან)
- ✔ 72 საათიანი ვალიდურობის ნეგატიური პასუხის PCR ტესტის მქონე (ან)
- ✔ 24 საათიანი ვალიდურობის ნეგატიური პასუხის ანტიგენ-სწრაფი ტესტის მქონე (ან)
- ✔ კოვიდ გადატანილი

**შენიშვნა:** თუ პირს მწვანე სტატუსი მინიჭებული აქვს ჩატარებული PCR ან ანტიგენ-სწრაფი ტესტის საფუძველზე - მწვანე სტატუსი შეუწყდება ტესტის ვადის გასვლისთანავე

## ჩოლის მიენიშება პირს მწვანე სტატუსი?

- ✔ ვაქცინაციის მეორე დოზის ჩატარების შემდეგ
- ✔ PCR და ანტიგენის ტესტის ნეგატიური პასუხის მიღების (ლაბორატორიის მიერ პასუხის სისტემაში ატვირთვის) შემდეგ
- ✔ კოვიდის ოფიციალურად დადასტურებიდან 14 დღის შემდეგ

## ჩა აჩის მწვანე პასპორტი?

- ✔ „CovidPass Georgia“ - აპლიკაციაში რეგისტრაციის გზით მიღებული QR კოდი (ან)
- ✔ covidpass.moh.gov.ge - საიტზე რეგისტრაციის გზით მიღებული QR კოდი (ან)
- ✔ საქართველოში ვაქცინაციის ცენტრებში, კლინიკებსა და იუსტიციის სახლებში დაბეჭდილი დოკუმენტის QR კოდით (ან)
- ✔ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და "EU Digital COVID Certificate" სისტემაში ინტეგრირებული სხვა ქვეყნების ოფიციალური უწყების მიერ დაბეჭდილი დოკუმენტის QR კოდით ან ელექტრონულად მინიჭებული QR კოდით

## შენიშვნა:

**!** "EU Digital COVID Certificate" სისტემაში ამჟამად ინტეგრირებულია 51 ქვეყანა. ქვეყნების სრული სიის სანახავად, გთხოვთ, გადახვიდეთ შემდეგ ბმულზე: <https://ec.europa.eu/>

საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც ვაქცინაცია ან ტესტი ჩატარებული აქვთ საზღვარგარეთ (არა "EU Digital COVID Certificate" სისტემაში ინტეგრირებულ ქვეყნებში) მწვანე სტატუსის მიღება შეუძლიათ მხოლოდ საზღვრის კვეთის შემდეგ „CovidPass Georgia“ - აპლიკაციაში ან covidpass.moh.gov.ge - საიტზე რეგისტრაციის გზით (ვალიდაციის კოდი შეეძლება მიიღონ ქართულ მობილურის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე



## როგორ მოვახდინოთ მწვანე პასპორტის ვალიდაცია?

✓ „Covidpass Georgia“ აპლიკაციის QR წამკითხველით ან

✓ covidpass.moh.gov.ge QR წამკითხველით



⚠ წამკითხველის გამოყენებისთვის საჭიროა მხოლოდ აპლიკაციის გადმოწერა. დამატებითი მონაცემების შეყვანა საჭირო არ არის



## რა ინფორმაციას იღებს ვალიდატორი QR კოდის წაკითხვისას?

- საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში - პიროვნების ფოტოსურათს და სახელისა და გვარის ინიციალებს
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში - პიროვნების სახელს და გვარს, დაბადების თარიღს და დოკუმენტის N-ს
- აკმაყოფილებს თუ არა პიროვნება მწვანე სტატუსს
- რა ვადით აქვს პირს მინიჭებული მწვანე სტატუსი (ტესტის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია როდის ეწერება პირს მწვანე სტატუსი)

⚠ **შენიშვნა:** covidpass.moh.gov.ge საიტი და „Covidpass Georgia“ აპლიკაცია ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს და გამართულ ფუნქციონირებას დაიწყებს 1 დეკემბრიდან



## ვის შუამდია საახალწლო ღონისძიებების მასშტაბობა?

- ობიექტს, რომლის ყველა თანამშრომელი (100%) არის მწვანე სტატუსის მქონე

### მონიტორინგი და სანქციები

- მონიტორინგს განახორციელებს საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახური - შერჩევის პრინციპით;
- ობიექტზე არა მწვანე სტატუსის პირის დაშვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ობიექტს. წესის დარღვევის შემთხვევაში სანქცია შეადგენს იურიდიული პირისთვის 10,000 ლარს; ინდ. მენარმისთვის - 2,000 ლარს. (განმეორების შემთხვევაში ობიექტის დალუქვა)



## ვის დავუკავშირდეთ ტექნიკური ხანჯავის შემთხვევაში?

- 144 - მთავრობის ერთიანი ცხელი ხაზი
- 1505 - ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი
- 1522 - ვაცცინაციის ცხელი ხაზი
- 0800800909 - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცხელი ხაზი
- ელექტრონული ფოსტა: appsupport@ita.gov.ge